კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქუჩა №20-ში შპს „ჯი ემ ჯი“-ს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.06.001.191) მდებარე ერთსართულიანი შენობის (ავტოპროფილაქტიკა) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2020 წლის 11 აგვისტო

შპს „ჯი ემ ჯი“-ს (ID ნომერი: 406043115) ადმინისტრაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „ტანდემი“-ს საექსპერტო ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა ქ. თბილისში, პეტრე იბერის №20-ში, № 01.10.06.001.191 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიანი შენობის [შენობა 1(1) საკადასტრო გეგმის მიხედვით] კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, ზემოხსენებული შენობის მარჯვენა ნაკვეთურში, კომერციული (ავტოსალონისა) და საოფისე სათავსოებისთვის ახალი მშენებლობის შემთხვევაში, არსებულ შენობაზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და მისი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

დამკვეთმა წარმოადგინა არქიტექტორ მ. ხიზანიშვილის მიერ შესრულებული შიგა აზომვითი ნახაზები, რომლებიც გამოყენებულ იქნა შენობის გაბარიტული ზომებისა და მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გეომეტრიული პარამეტრების დასადგენად, პარალელურად შესწავლილ იქნა შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა.

შესწავლილი შენობა მდებარეობს დიდი დიღმის დასახლებაში, რომელიც სამშენებლო ნორმებისა და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა“-ს (პნ 01.01-09) სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0,17. დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს (პნ 01.05-08) მიხედვით კი ქ. თბილისის ამ უბნისათვის: თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50 კპა-ს, ხოლო ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 0,85 კპა-ს (15 წლიწადში ერთხელ).

შესწავლილი შენობა ერთსართულიანი, სამრეწველო ტიპის კარკასული შენობაა და შესრულებულია ლითონის ინდივიდუალური ელემენტებისგან (შენობის შესწავლისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც

კონსტრუქციულ დასკვნას თან ახლავს დანართის სახით). შენობა გეგმაში მართივი, სწორკუთხა ფორმისაა და მისი გაბარიტული ზომებია 30,65x8,00 მ. კარკასის მზიდ ელემენტებად გამოყენებულია სვეტები და სანივნივე ფერმები. სვეტებად გამოყენებულია ლითონის მილკვადრატები განივი კვეთით 100X100 მმ, ხოლო პარალელურსარტყელიანი სანივნივე ფერმები შედგენილია სხვადასხვა კვეთის ლითონის მილკვადრატებისგან. გარე, შემომზრუდავი თვითმზიდი კედლები შესრულებულია მცირეგაბარიტიანი ბეტონის საკედლე ბლოკების წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, სისქით 200 მმ. შიგა ტიხრები შესრულებულია კარკასის სვეტებზე დამაგრებული თაბაშირმუყაოს ფილებით. სანივნივე ფერმების ქვედა სარტყელზე დამაგრებულია შეკიდული ჭერი პლასტიკატის თეთრი ზოლოვანი მასალისაგან. სახურავი ერთქანობიანია და მოწყობილია ხის შეფიცვრაზე. სახურავის ბურულად გამოყენებულია მოთუთიებული თუნუქის გოფრირებული ფურცლები.

დამკვეთს განზრახული აქვს რომ მის მფლობელობაში არსებული შენობის მარჯვენა ნაკვეთურში, „A-C“ ღერძებს შორის ააშენოს თანამედროვე ტიპის დამოუკიდებელი შენობა, ახალი კომერციული (ავტოსალონი) და საოფისე სათავსოებით. ახალი მშენებლობა უნდა განხორციელდეს არსებული შენობიდან აღმოსავლეთის მხრიდან და მანძილი არსებულ და ახალ შენობებს შორის უნდა დადგინდეს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ხოლო ახალი შენობისთვის საძირკვლების ძირის ჩაღრმავება უნდა შეირჩეს არსებული შენობის საძირკვლების ძირის ჩაღრმავების გათვალისწინებით. ახალი საძირკვლები უნდა მოეწყოს სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები (პნ 02.01-08)“-ს მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით (გვ. 9) არსებული საძირკვლების ძირის დონეზე ან არსებულ საძირკვლებთან მოეწყოს გადამღობი ეკრანი შპუნტური კედლის სახით (საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პროექტის კონსტრუქტორის პრეროგატივაა), რაც გამორიცხავს არსებული შენობების საძირკვლების ჯდენას ქვაბულის დამუშავებისა და მშენებლობის პროცესში.

არსებული შენობა ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა ვიზუალურად. შესწავლილი შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შენობა აგებულია დამაკმაყოფილებელ დონეზე და მას კარგად აქვს გადატანილი ბოლო წლებში საქართველოში დაფიქსირებული მიწისძვრების ზემოქმედებანი და მისი

კონსტრუქციული ელემენტების არცერთ ხილულ ზედაპირზე არ შეინიშნება რაიმე სახის დაზიანება თუ დეფორმაციები. „A-C“ ღერძებს შორის მდებარე კონსტრუქციების დემონტაჟი დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, რადგანაც მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტები შესრულებულია დროებითი შენობებისთვის დამახასიათებელი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებისგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების - „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქ. თბილისში, პეტრე იბერის №20-ში, № 01.10.06.001.191 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე მდებარე ერთსართულიანი შენობის [შენობა 1(1) საკადასტრო გეგმის მიხედვით] მარჯვენა ნაკვეთურში, „A-C“ ღერძებს შორის ხარისხიანად შესრულებული სადემონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება არსებული შენობის კონსტრუქციული ელემენტების მზიდუნარიანობა და შესაძლებელი იქნება მისი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის მიმდინარეობისა და დასრულების შემდეგაც.

შ.პ.ს. “ტანდემი”-ს დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

დანართი



№ 01.10.06.001.101 საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთი. მარჯვენა მხარეს ავტოპროფილაქტიკის ერთსართულიანი შენობა [შენობა 1(1) საკადასტრო გეგმის მიხედვით]



ავტოპროფილაქტიკის ერთსართულიანი შენობის სადემონტაჟო მარჯვენა ნაკვეთური